ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5003516616

01/07/2016 წ.

5003516616

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ
ბესიკ წიკლაურს

ბატონო ბესიკ,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N188-13 მომართვის (ბიუროს 2016 წლის 5 თებერვლის რეგისტრაციის N1000858516) საფუძველზე, გიგზავნით ის N003837816 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 04 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური

ბიუროს უფროსი

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, მესხის ქ. N5
ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
5 Meskhi str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

003837816

**ექსპერტის დასკვნა № 003837816**

## გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

## ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა:

**დამნიშნავი :**

სტრუქტურა: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა

ქვესტრუქტურა: -

დასახელება: -

თანამდებობა: გამგებელი-

მისამართი: თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. 34

სახელი და გვარი: ბესიკ წიკლაური

საფუძველი: მომართვა

**შემსრულებელი ექსპერტები :**

აკაკი ყაულაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს საინჟინრო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 1 წლის სტაჟით.

## ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტსა და თქვენს შორის გაფორმებული 2016 წლის 04 იანვრის N2000026716 ხელშეკრულების საფუძველზე მოგმართავთ თხოვნით, ჩაუტაროთ ფასებისა და მოცულობების სამშენებლო-ტექნიკური ექსპერტიზა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაკუდაანში სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

შემოსვლის თარიღი: 05.02.2016წ.

გასვლის თარიღი: 01.07.2016წ

## დასკვნა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაკვეთით შ.პ.ს. „ბირთვი"-ს მიერ, 2015 წლის 09 ოქტომბერს გაფორმებული N171 ხელშეკრულების ფარგლებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაკუდაანში, ფაქტიურად შესრულებული სამონტაჟო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჯამური ღირებულება, ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებული ერთეული ღირებულებების გათვალისწინებით, შეადგენს 2891,01 ლარს.

იხ: გამოკვლევითი ნაწილი.

დანართი N1 – 01 ფურცლად.

აკაკი ყაულაშვილი

## გამოკვლევა

მომართვის თანახმად დასადგენია, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაკვეთით შ.პ.ს. „ბირთვი"-ს მიერ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაკუდაანში შესრულებული სამუშაოების ღირებულება. აღნიშნულის დასადგენად წარმოდგენილია: შესრულებული სამუშაოების აქტი (ფორმა N2), 2015 წლის 09 ოქტომბერს გაფორმებული N171 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, ხარჯთაღრიცხვა, ფარული სამუშაოების აქტი, შრომითი ხელშეკრულებები და მასალათა შესყიდვის დოკუმენტაცია.

გამოსაკვლევი ობიექტი წარმოადგენს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაკუდაანში, სასმელი წყლის მომარაგების სისტემას, სადაც შესრულებულია: სასმელი წყლის მილების და რეზერვუარის სამონტაჟო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ჩემს მიერ მოხდა გამოსაკვლევი ობიექტის ადგილზე შესწავლა, სადაც ჩავატარე შესაბამისი აზომვითი სამუშაოები (ხილული ნაწილი) დამკვეთის წარმომადგენლის თანდასწრებითა და მითითებით. ფარული სამუშაოების მოცულობები გათვალისწინებული იქნა წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტის მიხედვით, ხოლო შესრულებულ სამუშაოების აქტში დაფიქსირებულ რიგ ფარულ სამუშაოებზე არ იქნა წარმოდგენილი ფარული სამუშაოების აქტი და აღნიშნული სამუშოების მოცულობები გაზიარებულ იქნა შესრულებული სამუშაოების აქტში დაფიქსირებული მოცულობების შესაბამისად, რომელიც დადასტურებულია დამკვეთის წარმომადგენლების მიერ.

ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობები, შეესაბამება შესრულებულ სამუშაოების აქტში (ფორმა N2-ში) დაფიქსირებულ მოცულობებს.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის, 2016 წლის 03 თებერვლის N210-13 წერილის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების აქტში დაფიქსირებული ერთეული ღირებულებები გაზიარებულ იქნა წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებული ერთეული ღირებულებების მიხედვით.

შესრულებულ სამუშაოების აქტში (ფორმა N2-ში) ნაჩვენები ერთეული ღირებულებები, შეესაბამება წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებულ ერთეულ ღირებულებებს.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ ფორმა N2-ში დაფიქსირებული N13 პუნქტს კერძოდ, „მავთული, თერმოიზოლაცია საჰაერო ხაზზე მონტაჟით", ფაქტიურად მოწყობილ საჰაერო ხაზს არ გააჩნია თერმო იზოლაცია, აღნიშნული სამუშაო ჩემს მიერ შედგენილ ფორმა N2-ში შეფერილია ყვითელი ფერით და მათი ჩათვლის საკითხი დამკვეთის პრეროგატივაა.

ასევე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ ფორმა N2-ში დაფიქსირებულ გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე არ იქნა წარმოდგენილი გაუთვალისწინებელი სამუშაოების აქტი რის საფუძველზეც ექსპერტიზის მიერ არ იქნა გაზიარებული აღნიშნული პროცენტული დანარიცხი და ჩემს მიერ შედგენილ ფორმა N2-ში შეფერილია მწვანე ფერით (იხ. დანართი N1).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დადგინდა შემდეგი:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაკვეთით შ.პ.ს. „ბირთვი"-ს მიერ, 2015 წლის 09 ოქტომბერს გაფორმებული N171 ხელშეკრულების ფარგლებში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაკუდაანში, ფაქტიურად შესრულებული სამონტაჟო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჯამური ღირებულება, ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებული ერთეული ღირებულებების გათვალისწინებით, შეადგენს 2891,01 ლარს (იხ. დანართი N1).

აკაკი ყაულაშვილი ა. ყაულ[signature]

## გამოყენებული მასალები

- შესრულებული სამუშაოების აქტი (ფორმა #2);
- **2015** წლის **09** ოქტომბერს გაფორმებული **N171** ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- ხარჯთაღრიცხვა;
- ფარული სამუშაოების აქტი.

003837816

ექსპერტის დასკვნა № 003837816

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: კახაბერ კახელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: კახაბერ კახელი

დანართი N1

## შესრულებული სამუშაოების აქტი (ფორმა N2)

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი ს. თონეთის ტერიტორიული ერთეული
ს. ცხრაკუდაანის სასმელი წყლის სისტემის სათავეზე რეზერვუარის მონტაჟი

| N | საფუძველი | სამუშაოს დასახელება | განზომ. | რაოდ. | მასალები | | ხელფასი | | მანქანა მექანიზმ. | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ერთ. | სულ | ერთ. | სულ | ერთ. | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 2 | სნ-1 116-16-19 სრფ12-129 | სათავე ნაგებობაზე ტერიტორიის გაწმენდა-გასუფთავება ბუჩქნარისა და ქვალორღისაგან | 100მ² | 0.6 | | | 270 | 162.00 | | 0.00 | 162.00 |
| 3 | სნ-1 80-3 | მიწის მოთხრა III კატ. გრუნტში ხელით | გრძ.მ | 300 | | | 1.5 | 450.00 | | 0.00 | 450.00 |
| 6 | E4-1-47 სრფ-12 | მონოლითური რკ/ბეტონის ჩასხმა სათავეს ნაგებობად თავის გამომსვლელით სეტკის ფილტრით | მ³ | 0.5 | | | | | | | |
| | 4.1-302 | მონოლითური ბეტონი B 18.5 | მ³ | 0.5 | 70 | 35.00 | 100 | 50.00 | | 0.00 | 85.00 |
| | | არმატურა A-III f12 ; f6 | ტ | 0.05 | 500 | 25.00 | 100 | 5.00 | | 0.00 | 30.00 |
| | სრფ5.1-21 | საყალიბე ფიცარი | მ³ | 0.3 | 50 | 15.00 | | 0.00 | | 0.00 | 15.00 |
| | | პოლიეთილენის 2000.ლიტ. მოც. რეზერვუარის მონტაჟი ბეტონის ბალიშებზე | კომპლ. | 1 | 410 | 410.00 | 200 | 200.00 | | 0.00 | 610.00 |
| | | რეზერვუარისა და სამშენებლო მასალების გადატანა ხელით სამონტაჟო ადგილზე 350გ.მ. მანძილზე | ტ | 3 | | | 100 | 300.00 | | 0.00 | 300.00 |
| 13 | 6-429 | მავთული, თერმოიზოლაცია საჰაერო ხაზზე მონტაჟით | გრძ.მ | 30 | 0.5 | 15.00 | 0.5 | 15.00 | | | 30.00 |
| 14 | 6-262 | პოლიეთილენის მილის შეძენა მონტაჟი D-20 თავის ფასონური ნაწილებით | გრძ.მ | 361 | 0.7 | 252.70 | 1.2 | 433.20 | | | 685.90 |
| 15 | 2-1-18. | სათავის რკინის ხუფის მოწყობა ატანა მონტაჟი | ც | 1 | 17.12 | 17.12 | 10 | 10.00 | | | 27.12 |
| | | ჯამი | | | | 769.82 | | 1625.20 | | 0.00 | 2395.02 |
| | | სატრანსპორტო ხარჯები მასალებზე | | 5% | | | | | | | 38.49 |
| | | ჯამი | | | | | | | | | 2433.51 |
| | | ზედნადები ხარჯები | | 10% | | | | | | | 243.35 |
| | | ჯამი | | | | | | | | | 2676.86 |
| | | გეგმიური დაგროვება | | 8% | | | | | | | 214.15 |
| | | ჯამი | | | | | | | | | 2891.01 |
| | | გაუთვალისწინებელი ხარჯები | | 3% | | | | | | | 0.00 |
| | | ჯამი | | | | | | | | | 2891.01 |